გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ულეგრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს,

ბ-ნი კ. ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

**ციმბირელი**

კომედია 4 მოქმედ. ავ. ცაგარელისა

II

პირველად ახალი ვოდევილი

**მონადირე**

ვალ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, აგიევისა, არლანისა; ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეიძლება აბონიმენტის აღება ხუთის წარმოდგენაზე $20^0/_0$ დაკლებით, დაწვრილებით პირობის შესატყობად შეიძლება მიჰმართონ კალერიას გუნიას, თეატრში, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამ ცოტას ხანში დანიშნულია ვ. აბაშიძის ბენეფისი.

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი ადმინისტრატორი ვალ. გუნია.



**დღეს**

სწორედ $3^1/_2$ საათზე.

**ჰაეროსტატით აფრინდება**

ოგიუსტ გოდრონი

(დიდუბის მოედანზედ)



ქუთაისის ქალაქის გამგეობა

შეუდგა რა შემდეგის 1892—1895 წ. ოთხის წლისათვის ქალაქის სამართველოს ამორჩევლების სიების შედგენას, ვალად სდებს თავისს თავს სთხოვოს ქალაქის მცხოვრებთ, თავისს დროზედ შემოიტანონ მათს უძრავ მამულებზედ გაწერილი დასაფასებელი გარდასახადი (оцѣночный сборъ), როგორც ძველი, ისე ამ მდგომარე წლისა, რადგან ამ გარდასახადის დროზედ შემოუტანლობა ართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას ამომრჩეველთ შეკრებილებაში (მე 4 მუხ. 1964 სტ. II ტ. I ნაწ. გამ. 1876 წ.)

(3—3)

ტფილისი, 2 ნოემბერი

გარედამ მაყურებელი ჩვენის ქალაქის ძველ გამგეობის ამბებისა ვერაფერს უოფაშია. ვერაფერს უოფაშია, იმიტომ-რომ სამდურავი გამგეობისა ხშირად ისმის, იმასაც ვხედავთ, რომ ეგრედ წოდებული ოპოზიცია სწუნობს ძველს გამგეობას, იმისს რეჟიმს, იმისს წესს საქმეთა წარმოებისას, აბრალებს კიდეც რომ ქალაქის უსაჭიროესს ინტერესებზე ყურმოყრუებული იყოვო, ბევრში აზარალა ქალაქიო, მაგრამ დღეს აქამომდე ოპოზიციას არც საბჭოში, არც აქაურს ჟურნალ-გაზეთობაში იმისთანა საბუთი არ უჩვენებია, რომ პირუთვნელმა კაცმა გულში ეჭვ ჩაურჩენელად სთქვას, აი სად და რაშია დამნაშავე ძველი გამგეობა, სად და რაშია მართალი.

ქალაქში ათას ნაირი ხმები დადის ქალაქის ძველ გამგეობის შესახებ. იმისდა მიხედვით ვის შეხვდებით—ძველ გამგეობის, თუ ოპოზიციის მომხრეს,—ერთსა და იმავე საგანზე ორი სხვა-და-სხვა ამბავი ისმის, რომელს ერთს დაუჯეროს კაცმა, არ იცის. ამისთანა საქმეში, საცა ბრალდება იმისთანა კრებულისა, როგორიც გამგეობაა, რომელიც ნარჩევთ კაცთაგან შემდგარია, და, მაშასადამე, პატივსაცემელია, ძნელია გამკითხავი კაცი მარტო მითქმა-მოთქმის ანაბარას დასტოვოს ბრალდებამა. აქ უნდა მტკიცე, უეჭველი საბუთი ჰქლაპარაკობდეს საჯაროდ, საქვეყნოდ და არა ჭორსავით აქ იქ დაიარებოდეს ჩურჩულითა და მალვით.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს აქამომდე არც საბჭოში და არც აქაურს ჟურნალ-გაზეთობაში არც საკმაოდ გამორკვეული ბრალი გამგეობისა გამომჟღავნებულა, არც უეჭველი და განკითხული საბუთი. მიზეზად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ ეგრედ წოდებული ოპოზიცია საქმეებს გულ-დადებით არა სჩხრეკს, გასამართლებელსა თუ გამამტყუნებელს საბუთებს არ ეძიებს თვითონ საქმეებში და ამის გამო ვერც საზოგადოებას აძლევს საბუთს პირუთვნელის განაჩენის დადგენისას. ეგრედ საქმის დაყენება ძნელია და არც საკადრისია ოპოზიციისათვის, რომელსაც საზოგადოება სასოებით შეჰყურებს. ეს არ ჩხრეკა საქმეებისა, საქმეების შეუსწავლელობა და ამის გამო არ ცოდნა „Новое Обозренie“-ს იმ წერილშიაც არის შენიშნული, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ ჩვენს მეთაურში ამას წინად ოპოზიციის საყურადღებოდ.

გარდა ამისა, ესეც შესანიშნავია, რომ ოპოზიცია მედგრად იწყებს საქმეს, მხნედ ეკიდება სათავეში და მერე, თითქო იღალებაო, ბოლომდე იმ მხნეობითვე აღარ მიჰყვება ხოლმე, თითქო მარტო დაწყებას სჯერდება და ბოლო-კი ღმერთმა იცოდესო. ამ სახით ხშირად პირველში ძალ-ღონიერად მიტანილი იერიში ბოლოს და ბოლოს ჰნელდება და თითქმის არაფრით თავდება. ჩვენის ფიქრით-კი, რაკი საქმე ასტუდა, თავის კუთვნილ დასასრულამდე უნდა მივიდეს, ჰო და არა საქმისა უნდა გამოჩნდეს და გადაწყვეტილი განაჩენი ითქვას. ეხლა-კი ხშირად საქმე ისე თავდება, თითქო სიტყვა ბანზე აგდესო. ეგრე სიტყვის ბანზე აგდებით საქმის გათავება იქნება ხელს უმართავდეს ვისმე, ოპოზიციისათვის-კი მეტის მეტად მავნებელია.

ოპოზიციამ ამ ნაკლს უსათუოდ უნდა უშველოს რამე, როგორმე წამალი დასდოს და, თუ მართლა რაიმე მოქმედება ძველის გამგეობისა სამდურავის და საყვედურის ღირსია, ამისი ყოველ მხრით გამორკვეული მტკიცე საბუთი ითქვას, რომ სიტყვა საქმედ იქცეს და არ დარჩეს უბრალო მითქმა-მოთქმად. ამ მხრით დიდს შემწეობას აძლევს ოპოზიციას ეგრედ წოდებულ „ვეტერანი“, რომელიც თავისს წერილებს ჰბეჭდავს „Новое Обозренie“-ში. დღეს იმის წერილში (№ 2704) ორი იმისთანა ამბავია გამომჟღავნებული და საბუთებიც ნაჩვენები, რომ კაცი, თუ არ განგებ, გზას ვერ აუქცევს და უსათუოდ მთელის თავისის გონებით დაადგება გაოცებული. სუსურველია, ეს ორი ამბავი უფრო ვრცელად გამოირკვეს, რომ ყველას მცოდნეს და უცოდინარს უტყუარი საწყაო მიეცეს ხელში ჰოსა, თუ არას სათქმელად. ამბობენ, არ იქნება მეტიო, რომ ქალაქის სახელოსნო სკოლის ვითარებაც გამორკვეული იქმნასო. იქაც თურმე ბევრი ჭკუის-მასწავლებელი მაგალითებიაო. არც თურმე ქალაქის განათების იჯარის საქმეა

## ფელეტონი

ელეგია

(ჩემს ძმას ბაჩანას)

ვაიმე, ძმაო, ვაიმე,
მითქვამს და ვიტყვი ვაისო,
ეს ჩემი გული ბედკრული
ტანჯვით პირამდის გაივსო,
თვალებმაც ბევრი იტირეს,
ცრემლმაც მრავალი შაისო.
მაგრამ მე ისივ თომა ვარ,
ისევ ის გულის ტკივილი,
ისევ მას ვეტრფიალები,
რაზედაც მქონდა ჩივილი.
ვეძებე, ლხინი ვერ ვპოვე,
ისევ ტირილი, ტირილი!!
ხან მინდორს შავეხიზნები,
მიურბი ღლისა ვარამსა,
ვესაუბრები ცა-ხმელთა,
ვეტრფი დაბურულს ჰალასა,
ოცნებით გატაცებული,
ვეძებ დრო-ჟამთა წამალსა.
თორემ ვინმე და ეს საქმე,
ვინ კაცი ჰქვათა მყოფელი,
სოფლისგან ეულს არ აქნდეს
თავისა მისაყრდნობელი,
თვით ქვეყნის ხსნაზედ ფიქრობდეს,
ვით დედა, ღვიძლი მშობელი—
დიდთა, ამ ქვეყნის მნათეთა
ჰქონდათ საერთო ვარამი,
განვლეს წუთის დღე დიდებით,
აღნიშნეს თვისი ნავალი,
ეძებეს, მაგრამ ვერ ჰპოვეს
ვერც იმათ ქვეყნის წამალი.
ბევრმაც იწია სულ მაღლა,
ჰსურდა, ჩვენს ზევით მდგარიყო,
ესაა სიამის თვალი,
წუთი სოფლითა მტკბარიყო,
მაგრამ ვერ მისწვდა მიუწდომს,
ცა მის საწვდენად არ იყო;
ვერც დარჩა მიწის ზევითა,
მისთვისაც კუბო მზა იყო.
კაცის უძლები გონება
სულ ეძებს მიუწდომელსა,
იმაში ჰპოვებს თავისთვის
დასატკბობ—გასართობელსა,
მაგრამ ვინ მისცემს იმისს გულს
სამუდმო გასაძლომელსა.

1891. თ. რაზიკაშვილი

განცხადებანი და ჟურნალ-გაზეთობა

(სამრეწველო მიმოხილვა)

პირველი პერიოდიული გამოცემანი, ესე იგი, ჟურნალ-გაზეთები დაარსებულ იქმნა მე-XVII საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ამ ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა. თუმცა ეს რიცხვი თანდათან მატულობდა, მაინც და მაინც ჯერ-ჯერობით განცხადებათა ბეჭდვა მიღებული არ იყო და არცა ჰბეჭდავდნენ მაშინდელს ჟურნალ-გაზეთებში 1650 წლიდამ 1700 წლამდე, შემდეგ მე-XVIII საუკუნის განმავლობაში და ცოტა უფრო მეტად პირველს მესამედში ჩვენის საუკუნისა ვაჭართა და მრეწველთა წოდებამ ყველაზე ადრე მიაქცია ყურადღება განცხადებათა ბეჭდვას და ჟურნალ-გაზეთების შუამდგომლობით ქვეყანას ატყობინებდა თავის ნაწარმოებ საქონლის ღირსებას, ფასს და ყოველ ნაირს ვითარებას. მაინც საზოგადოდ ეს საშუალება არ იყო გავრცელებული. იმ დროს, ვინც ამ საშუალებას ჰხმარობდა, იცოდა, რომ თავისი დასაკუთრებული მკითხველი და მუშტარი ჰყავდა. ამიტომაც იყო, რომ ტანისამოსის მკერავლი აბეჭდვინებდა განცხადებას მოდისა და ან სათეატრო გაზეთებსა და ჟურნალებში; საეკკლესიო ნივთების ვაჭარი—სასულიერო გაზეთებში, და სხვ.

მაგრამ ცხოვრებამა და დროთა ვითარებამ შესცვალა ჟურნალ-გაზეთების ფერი, ხასიათი და ჩვეულებანი. ყველამ ადვილად შეიტყო, რა დიდი სარგებლობა მოაქვს განცხადებათა ბეჭდვას და გამოქვეყნებას, განსაკუთრებით ეს სარგებლობა ცხადი და თვალსაჩინო იყო ვაჭრებისათვის. რა-კი ამ უკანასკნელთ შეიტყეს ეს გარემოება, მათ შორის დიდი ცილი და მეტოქობა ჩამოვარდა. ერთი რომ კვირაში ორჯელ აბეჭდვინებდა თავისს განცხადებას, მეორე არა ჰკმაყოფილდებოდა და კვირაში სამჯერ-ოხჯერ ატყობინებდა საზოგადოებას თავის საქონლის ავ-კარგიანობასა და ყოველ ნაირს ვითარებას. მესამე კიდევ არავითარს ხარჯს არ ერიდებოდა, რომ უფრო მეტად გაევრცელებინა თავისი სახელი და მეტი მუშტარი მოეპოვა. რასაკვირველია, ეს გარემოება თავის მხრივ ხელს უწყობდა ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც ამიერიდგან წარმატება, სწრაფი გამრავლება და წინ-მსვლელობა დაეტყო. ამასთანავე პერიოდიული გამოცემანი ყურადღებას აქცევდნენ თან-და-თან ყოველს შესანიშნავს გარემოებას, ყოველს სამფლობელოს ადამიანის გონებისასა და მოქმედებისას.

ამ ნაირად ჟურნალ-გაზეთობა ახალისებდა თან-და-თან უმრავლესს რიცხვს მკითხველებისას და ნელნელა, მაგრამ დაუყოვნებლივ, ვრცელდებოდა ქალაქთა და დაბა-სოფელთა ყოველს მიყრუებულს კუთხეშიაც-კი.

ასე დამკვიდრდა ვიწრო კავშირი, დამოკიდებულება და ურთიერთობა ჟურნალ-გაზეთობის წარმატებასა და სავაჭრო-სამრეწველო განცხადებათა ბეჭდვის წინამსვლელობას შორის.

ჰკითხეთ დღეს რომელსამე დიდს სოვდაგარს, ანუ გამოჩენილს ვაჭარს პარიჟისას, ლონდონისას, ნიუ-იორკისას, საიდგან და როგორა აქვთ მოპოვებული აუარებელი მუშტარი, საიდან და როგორ საღდება მათი საქონელი, საიდგან და როგორ არის გაქვეყნებული და გავრცელებული მათი სახელი მთელს დედამიწის ზურგზედ. მაშითვე გიპასუხებთ: „ჟურნალ-გაზეთების მეოხებითა და საშუალებითაო“. მერე რა ხერხსა და ჰანგებს არა ხმარობენ, განსაკუთრებით შეერთებულს შტატებში, რომ უფრო კარგად გამოიყვანონ განცხადებანი და უეჭველად მიიქ-

უიმისოდ, რომ ურემი გადაბრუნებული არ იყოს გზის დასანახავადაო.

მართალია ეს ყოველი, თუ ტყუილი, ამის გამორკვევა ოპოზიციის ვალია და იმ უეჭველს სარგებლობას მაინც მოიტანს, რომ მითქმა-მოთქმას, დღეს ეგრე გაძლიერებულს ქალაქში, ასე თუ ისე ბოლოს მოუღებს. ოპოზიცია ქალაქის მკვიდრთა წინაშე იმით იქმნება სასახელო და საქებური, რომ არც მოპირდაპირეთა გასამართლებელს საბუთს შეუშინდეს, არც გასამტყუნებელს, რადგანაც მართალი და ჭეშმარიტება იმის უსათუო დროშაა. ამ დროშის ძირს არ დაშვება არის მარტო იგი ციხე-სიმაგრე, სადაც ეგრედ წოდებული ოპოზიცია თავს შეინახავს მისდა მოსავთა მკვიდრთა სასიხარულოდ და სასახელოდ.

# ახალი ამბავი

*** მათი უმაღლესობა პრინცი მიურატი და პრინცი ლუი ნაპოლეონი ამ თვის 1 ტფილისიდგან ზუგდიდში გაემგზავრნენ.

*** ტფილისის საქალაქო სამხედრო ბეგარის საკრებულოში ამ თვის პირველს კენჭის ყრამ გასტანა საღამოს რვა საათამდე. კენჭის ყრის წინად ორი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი კიდევ ჩაეწერა და სულ კენჭის ყრას დაესწრო 580 კაცი. ამათგან სულ 50 კაცი უნდა გავიდეს ჯარის-კაცად. ოთხშაბათიდგან-კი ამავე საკრებულოში ექიმი გასინჯავს იმათ, ვინც სამხედრო ბეგარაზე გაწვეული.

*** ყოველ დღე ტფილისში შუაგულ რუსეთიდამ დიდ-ძალი გლეხობა მოდის სამუშაოდ, რადგანაც იქ ამ წელს მოსავალი წაუხდათ და სიმშილი ჩამოვარდა. თუ რა საზარელს მდგომარეობაში არიან რუსეთის მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების მკვიდრნი, ამას აშკარად ამტკიცებს შემდეგი ამბავი. ამ თვის პირველშიაც ტფილისში ორი დამშეული ოჯახი ჩამოვიდა. ერთი გლეხი თითონ შებმულიყო ეტლში, რომელშიაც სამი ბალღი იწვა და რაღაცა ნაგლეჯ-ნუგლეჯები ეწყო. გლეხის ცოლი ეტლს ბოლოდგან აწვებოდა და ამასთან ორი ბავშვიც ფეხშიშველა მოსდევდა უკან ეტლს.

*** პურის ნიხრის დაკლების გამო ჩვენი მეფურნეები გამოუმცხვარს პურსა ჰყიდიან. საბაზრო პოლიციას ტომრებით მიაქვს ქალაქის გამგეობაში ეს გამოუმცხვარი პური და დიდძალი ოქმი შეუდგენიაგ ამ გამოუმცხვარ პურის გამყიდველებისთვის. საქმე იმაშია, რომ თითქმის ყველა მეფურნე ალაფისაგან ნისიად ჰყიდულობს ფქვილსა, რასაკვირველია, ერთი-ორად და ჰზარალობს კიდეც, თუ დაწესებულის ნიხრით გაჰყიდა. ამიტომ იძულებულია, უფრო ცუდი, გამოუმცხვარი პური ჰყიდვს, რადგანაც გამომცხვარზედ უფრო მძიმე მოდის წონაში. ამიტომ საჭირო, რომ პოლიციამ ამ ალაფების მოქმედებას მიაქციოს თავისი ყურადღება.

*** როგორც შევიტყეთ, ამ ახლო ხანში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში თავისს მოხსენებას წაიკითხავს ს. ა.—ძე ქვარიანი კახეთის ვენახების ავადმყოფობის შესახებ. ბ-ნი ქვარიანი ერთი წელიწადია, რაც კახეთის ვენახების გამოკვლევაშია, და ამიტომ, როგორც ამბობენ, ფრიად საინტერესოა თურმე მისი მოხსენება. სხვათა შორის, ქვარიანი თავისს მოხსენებაში იხსენიებს ზოგიერთს ისეთს ავადმყოფობას ვენახისას, რომელიც აქამდე ჯერ ცნობილი და გამოკვლეული არ არის.

*** ქართლი. ჩვენში წრეულს ისეთი მოსავალია, რომ ძნელად ყოფილა ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ამისთანა. პურით ბეღლები ამოივსო და ღვინო ხომ სწორედ, რომ იტყვიან, ქირსაც გაუძლვება და ლხინსაც. ჩვენში ქორწილები უკვე დაიწყო და ძალიან მხიარული ქორწილებიც არის, რადგან ღვინო ბევრი მოვიდა და პური ბლომად. ვისაც წლის წირვა ჰქონდა გადასახდელი, ან ნათლობა, შეთქმული ხატისთვის რამე, ყველა ეხლა შეუდგა ამ ვალის თავიდგან მოშორებას, რადგან მოსავალი უკვე დააბინავეს თავისს ალაგას და მაგდენად დიდი სამუშაო გლეხს აღარა აქვს-რა. აქაურები ძალიან ხელ-გაშლით იქცევიან, თუმცა კარგს-კი იზამდნენ, რომ მომავლისთვისაც ეფიქრნათ რამე და ცოტაოდენი ეხლანდელი მოსავალი, სამერმისოდაც გადაედოთ, თორემ მერმის რომ მოსავალი, ღმერთმა-კი დაიფაროს, ცუდი დაუდგეთ, რა ეშველებათ, ვის უნდა მიადგნენ კარსა?!..

*** „ნოვ. ობოზ.“ შეუტყვია, რომ ქალაქის საბჭოს ზოგს ხმოსნებს პროექტი შეუდგენიათ და უნდათ, რომ საკომერციო სკოლა დააარსონ ტფილისის ერთ-სამოქალაქო სასწავლებელთანაო. ეს პროექტი ვაჭრების სურვილს ეწინააღმდეგობაო, ამბობს გაზეთი, რადგან ვაჭრებსა ჰსურთ, რომ საკომერციო სკოლა თავიანთვის თითონ დაიარსონ კერძოდაო.

*** პირველს ამ თვისას შუაბაზარში ნატალია ალადათოვის სახლის ახალი კედელი დაიქცა, მეზობლის თაღლს დაეცა და დაანგრია. უბედურობა არა მომხდარა-რა.

*** ამავე დღეს სეგალის მაღაზიიდამ, სუმბათოვის სახლში 800 მან. ხელთათმანები მოიპარეს. აგრეთვე 100 მან. აბრეშუმეულობა და კასიდამ 7 მან. ფულად.

*** 1 ნოემბერს შუშის მცხოვრებელმა ხამლარ ყიშიოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემის საღგურიდამ ხალილ-აბას-ოღლიმ და ალი მამადოღლიმ 20 მანეთის ქამარი მომპარესო, 5 ოქროს მეჭედი და სხვა ნივთეული 155 მანეთისა.

# სახელდახელო

(არა-ყბად-ასაღები—არა-წყალ-წასაღები ამბავი)

დაგვიზამთრდა. სუსხმა დაგვკრა...

სუსხმა-კი დაგვკრა, მაგრამ ჯერ არ დაგვზამთრებია, მხოლოდ დაგვიშემოდგომდა. მერე რა უცნაური, რა ორ-ჭობი, უხასიათო და დაუდეგარი შემოდგომაა: დღეს რომ სწვიმს, გუშინ ცხრა-თვალი მზე იდგა და გუშინ წინ კიდევ ისეთი მსუსხავი ქარი ჰქროდა, რომ ტფილელთა ცხვირები სულ ერთიანად დასნეულდა, ზოგს სურდო მოედვა, ზოგი გაჭარხლდა-გაბროწეულდა და წითლად გააქვს ლაქლაქი ჰანჭურსავით.

ღვინობისთთვეში თოვლიც-კი წამოვიდა, ეს ზამთრის მახარებელი და ყინვა-სიცივის მოციქული, ნაადრევი და გულ-ჩქარი, სულ-სწრაფი სტუმარი. რაღა სიცივე და ყინვა უნდოდა ჩვენს ისეც გაციებულსა და გათოშვილს, მდორე, განელებულს ცხოვრებას. დააკვირდით აბა ჩვენს ცხოვრებას, განა ეთქმის, რომ სდუღს და გადმოდისო. ან როგორ იდუღებს, როცა დიდი ხანია მიმქრალ-მიბნედილია ის ცეცხლი, რომლის მეოხებითაც ადამიანი ადამიანობს, ცხოვრება ცხოვრებობს და ორ-ფეხ ადამიანების ჰიანჭველებურს ფაცი-ფუცს და ორონტრიალის აზრის დაღი ემჩნევა და გონების ელ-ფერი ედება. ასე რომ არ იყოს და აწინდელს ადამიანს გული ბავშვობიდგანვე რომ არა ჰქონდეს ყინულის ნაჭრად ქცეული, სიცივე-თოვლი რას დააკლებდა!

ბუნების სიცივეს კიდევ გზა აეცლება როგორმე, ან ნაბადს წამოიხურავს ადამიანი, ან მზის შუქს შეუშვერს სახეს, მაგრამ გაციებულსა და განელებულს გულს რა ეშველება? იმას ხომ ვერც ცხრა ნაბადი გაათბობს და ვერც ცხრა-თვალი მზის გული. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ეხლანდელის ადამიანის ადამიანობა მხოლოდ ჭამა-სმად-ღა არის გადაქცეული, მაგრამ ჭამა-სმა ხომ კუჭის მასალაა და არა გულისა, არა გონებისა. კუჭი გულის ყურ-მოჭრილი მონა და ყმა უნდა იყოს და არა ბატონი, არა მბრძანებელი.

ჭეშმარიტის ადამიანისათვის თუ კუჭი საშუალებაა ცხოვრებისა, ჩვენთვის საგანია, ვცხოვრობთ, რომ ვჭამოთ და არა ვჭამთ, რომ ვიცხოვთ. ძნელად დაბერდება ჩვენში ადამიანი, რომ თავისს წარსულს ცხოვრებას გაჰხედოს და „ალბეჭდილი ნახოს გზა ნავალი“. ან რად გაიხედოს, როდესაც სანუგეშოს ვერას დაინახავს, იმის მეტს, რომ აი, იქ კარგი დროება გავატარეთ, კარგად ვსვით, კარგად ვსჭამეთ, ხორცი ვალაღეთ, ვაფუფუნეთ და განცხრომილებასა შინა დავლიეთ დღენი ჩვენიო. ვისაცა აქვს ქონება, იმის ცხოვრება ხორცის ფუფუნებაა, და ვისაც არა, იმისი—ბრძოლა ამ ხორცის საფუფუნებელ მასალის მოსაპოვებლად. ამას გარეშე ქვეყანაზედ აღარა ჰზოგინებსრა და სწორედ გაღმერთებულია ბოდბელის საუკუღმართო მცნება, თუ არ მე, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა და ჩემი ურგემი ქოთანი—ქვასა და შეჭამადი—ძაღლსაო.

ამისთანა დროს სწორედ სიამოვნებით არის აღსანიშნავი მცირე გაკვესებ-გაფანცქალებაც-კი ყინულის ნაჭრად ქცეულის გულისა. სადაც ბევრი არ არის, იქ ცოტაც ღვთისწყალობაა, და სად ჭაჭანებადაც არა სჩანს, იქ, თუმცა ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ ესეც მაინც კარგი სანახავია, იმედს აღუძრავს ადამიანს, რომ ეხლანდელი ერთი მერმისში გამრავლების ნიშანიაო.

აი, ამ საიმედო ნიშნად მივიჩნიეთ ის ამბავი, რომ ვაჭარმა სოლომონ ეგნატეს ძემ მიქელაძემ ცხრა ასი მანეთი შესწირა საქვეყნო, სწავლა-განათლების საქმეს. განსვენებული ემაგალითა ბევრს თავისთანას და, იმედია, ეს მაგალითი კეთილს მაგალითობას გასწევს. ჩვენში ყველას ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედა ჰკიდია და არც სიცოცხლისას ახსოვს ვისმე და არც სიკვდილის დღეს. რამდენი გარდაცვლილა, რამდენს მოუჭამია თავისი ცხოვრება ამ ქვეყნად და სიკვდილის დღესაც არ გახსენებია არც სამშობლო, არც თანამოძმე, არც საერთო უბედურების გულშემატკივრობა. რამდენის ქონება გაუტანიათ ხელ-ფეხით ულირსს მემკვიდრეებს და თუ სარგებლობა უნახავს ვისმე, ისევ კარაპეტა მედუქნეებს, სადაც სამკვიდროს მიღებით გახარებულებს ქუდი ჰერში უსროლიათ და სმა-ღრეობას მისცემიან.

ე. ს. მიქელაძე-და? სცხოვრობდა

---

ციონ მკითხველის ყურადღება! ხან-და-ხან განცხადებას ისეთი სათაური აქვს, იმ ნაირად იწყება, რომ მკითხველი თავისს დღეში ვერ მიჰხვდება ნამდვილსა და ჭეშმარიტს განზრახვას და დარწმუნებულია, რომ სამეცნიერო, საპოლიტიკო ანუ სალიტერატურო წერილსა ვკითხულობო. მხოლოდ ბოლოს, წაკითხვის შემდეგ გაოცებული რჩება, რადგანაც ჰხედავს და რწმუნდება, რომ, რაც წაიკითხა, უბრალო განცხადება იყო და სხვა არაფერი.

მიჰმართეთ აგრეთვე რომელსამე რედაქტორს-გამომცემელს დიდისა და ყოველგან გავრცელებულის გაზეთისას, როგორ და საიდგან ჰფარავს იგი იმ აუარებელს ხარჯს, რომელიც უნდება დეპეშებსა, თანამშრომელებსა, კორესპონდენტებსა, რეპორტერებსა და მეფელეტონეებზე, და თუ გულწრფელი და გულ-ახდილი ადამიანია, პასუხად მიიღებთ, რომ კერძო განცხადებანი უფრო მეტს შემოსავალს აძლევს რედაქციას, ვიდრე ხელისმომწერთა რიცხვი დ ყოველდღიურად გაყიდული გაზეთი.

მაშასადამე, მრეწველობა და ვაჭრობა ერთის მხრივ და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა-გამოცემა—მეორეს მხრივ, ხელს უწყობენ და ასაზრდოებენ ერთმანეთს. ეს დაახლოვებული კავშირი ცხადია ყველასათვის, ვინც ამ საგანს დაჰკვირვებია და ცოტაოდნად მაინც შეუსწავლია.

ჩვენს დროში მკითხველთა მოთხოვნილებანი და მეცნიერების შეუჩერებელი ახალი გამოგონებანი აუცილებელ საჭიროებად ჰხდის სისწრაფესა და სიჩქარეს სტამბა-ბეჭდვის ყოველ ნაირ საქმისას. ეს სისწრაფე და სიჩქარე წარმოადგენს ერთს უმთავრესს და მუდმივს წყაროს გაზეთის ხარჯისას, რომელიც მატულობს და ხშირად ორკეცდება კიდეც, განსაკუთრებით დიდრონ გამოცემათათვის იმის გამო, რომ გაზეთი მზადდება და ისტამბება ღამ-ღამე, და ღამე მუშაობის ფასი ხომ ერთი-ორად მეტია. რადგანაც ყოველი რედაქცია სცდილობს სულ ახალ-ახალი ამბები დაახვედროს მკითხველს, ამიტომ უმრავლესი რიცხვი დიდრონ გაზეთებისა ნომრის შედგენას და აწყობას იწყებს მხოლოდ ღამის 10, 11 ან 12 საათზე. ამ დრომდე-კი რეპორტები და თანამშრომელნი მასალის მოძებნას უნდებიან. აქედგან სჩანს, რომ ღამ-ღამეობით მუშაობა ამ გაზეთებისათვის აუცილებელია. ამის გამო ზოგიერთს გაზეთში შეგიძლიანთ დილის ექვსს საათზე წაიკითხოთ ამბავი, ხუთის ან ექვსის საათის წინად მომხდარი. ზოგი კი-კიდევ იმ განზრახვით, რომ უფრო სავსებით დავაკმაყოფილოთ მკითხველიო, დღეში ოთხჯერ და ხუთჯერ ჰბეჭდავს გაზეთს და სხვა-და-სხვა დროს ჰგზავნის გასასყიდად. მაგალითად, ჟენევაში ერთი გაზეთი დღეში ხუთჯერ გამოდის: პირველად დილის 6 საათზე, შემდეგ ათს საათზე, მას უკან ნაშუადღევის ორს საათზე, კიდევ საღამოს ექვსს საათზე და უკანასკნელად ღამის ცხრა საათზე. თქმა არ უნდა, რომ ყოველს გამოცემაში მკითხველი ჰპოულობს ახალს დეპეშებს, ახალს ამბებს და სხ... ეს გაზეთი და სხვანი მისნი მსგავსნი ყოველ დღე აჭრელებულნი არიან კერძო განცხადებებით, რომელთა შორის ხშირად იმ ნაირსაც შეხვდებით: ყმაწვილს კაცს, ლამაზს, ფულიანს ჰსურს შეირთოს აგრეთვე ლამაზი ახალგაზდა ქალი; მზითვად 5,000 ფრანკი უეჭველად უნდა ჰქონდეს. სურათი და პირობანი ამ ადრესით გამოგზავნეთ... პარიჟის „პატარა ჟურნალის“ (petitgournal) სტამბა ყოველ ღამ ოთხის ან ხუთის საათის განმავლობაში ერთს მილიონზე მეტს ცალს ამ გაზეთისას ამზადებს და ჰგზავნის ქვეყნების სხვა-და-სხვა მხარეს.

რასაკვირველია, რომ ამ რიგად საქმის დაყენებას დიდ-ძალი ხარჯი უნდება. ყოველს რედაქციას თვისი საკუთარი სტამბა უნდა ჰქონდეს და ეს სტამბა, ტეხნიკურად უნდა წარმოადგენდესს უკანასკნელს სიტყვას მეცნიერებისას. პარიჟის უკანასკნელს გამოფენაზე რამდენსამე რედაქციას სამრეწველო განყოფილებაში გამართული ჰქონდა არამც თუ მარტო სტამბა, სადაც გაზეთს აწყობენ და ჰპეჭდავდნენ, არამედ ყოველ ნაირი საჭირო მანქანა ბეჭდვისა და თვით ქაღალდის მომზადებისათვისაც-კი. მაყურებელი თავისის თვალით ჰხედავდა, როგორ მოჰქონდათ ნაგლეჯ-ნაკუწი მჩვრები, როგორ იხარშებოდა ეს, ვინიცის, სად მოგროვილი ფლასები დიდრონს ქვაბებში, როგორ გარდაიქცეოდა სითხედ და ეს სითხე როგორ გამოდიოდა ქვაბებიდგან, როგორა ხმებოდა და ამის მაგიერ როგორ გამოდიოდა შეუწყვეტელი, დაუჭრელი ქაღალდის ფურცელი. ეს ქაღალდი აქვე, მაშინვე, სხვა-და-სხვა მანქანებით იჭრებოდა გაზეთის ფურცლად, მერე პირდაპირ, თავის თავად ეხვეოდა აწყობილს ცილინდრს ასოებისას, და თეთრის ქაღალდის მაგიერად გამოდიოდნენ ხელად მომზადებულს გაზეთს. ასე და ამ ნაირად თქვენ თვალ წინ უბრალო, გადასაყრელი მჩვარი გადაიქცა გაზეთის ნომრად, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდებოდა მსურველს.

მოუსპეთ ამ ნაირს გაზეთებს ის შემოსავალი, რომელსაც იძლევა განცხადებათა ბეჭდვა, და, უეჭველია, დაღარიბდებიან და შემდეგში, ადრე თუ გვიან, გაკოტრდებიან კიდეც. მოვიხსენიოთ აქვე, რომ, რადგანაც ამ ნაირი გაზეთები ძლიერ გავრცელებულია და ყველა იმას ეტანებიან, უეჭველად ამ გაზეთებში და არა სხვაგან დავაბეჭვდინოთ განცხადებაო, ამიტომაქ განცხადებებთა ბეჭდვა საკმაოდ ძვირად ჯდება. მაინც და მაინც ამ სიძვირეს ვაჭარნი და მრეწველნი არ ერიდებიან და ერთი ორად სარგებლობენ ამ საშუალებით.

ყველასათვის ცხადია ის ძალა და ღონე, რომელიც გაზეთბში განცხა-

თავისთვის ჩუმად, ხმა-ამოუღებლად ოფლითა თვისითა, არც მოგებასა ჰყვიროდა ადამიანი, არც ზარალს, არც ფულიანობასა, არც უფულობას, არც რისამე თანაგრძნობასა და გულ-შემატკივრობას. სიკვდილის დღე მოადგა და თავისი წვლილი, მცირე იყო, თუ ბევრი, სულ ერთია, სწავლა-განათლებისათვის, საქვეყნო საქმისათვის არ დაიშურა. ამითი ამცნო ყველას, რომ მეც თანავუგრძნობ ქვეყნის სიკეთესა და კეთილდღეობას, მეც გული შემტკივა ჩემის სამშობლოსათვისაო. არაფრით დაემსგავსა ბევრს იმისთანას, რომელნიც თავისს ქვეყნის გულ-შემატკივრობას გაჰყვიან, ვითარცა „საყვირნი იერიქონისანი“, მაგრამ გროშის საღირალს-კი არაფერს იმეტებენ ამავე საქმისათვის, იმ სიტყვით მამაკაცთა და საქმით ზარმაცთა, რომელთა სახელი არს ლეგიონ.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი და ღმერთმან ჰქმნას, რომ იმისს კეთილს მაგალითს სხვებიც დაერწმუნებინოს, რომ „არა პურითა ხოლო სცხოვნდების კაცი“!..

დუშიკო

### მცირე შენიშვნა

„Новое Обоз.“-ს № 2671-ში დაბეჭდილია რედაქციის შენიშვნებით ერთი საყურადღებო წერილი სოფლის მასწავლებლის დ. მიხაილიდისა. ბ-ნი მიხაილიდი, რომელიც სოფლის სკოლების მდგომარეობას დაჰკვირებია თათრებისა და მწვალებლების სოფლებში, იმ დასკვნას დადასდგომია, რომ საზოგადოდ სოფლებში სკოლების რიცხვი საკმარისია, მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი ძლიერ ცოტააო—15—30-მდე. ამის მიზეზად ბ-ნი მიხაილიდი ასახელებს სოფლელების გულ-გრილობას, დაუდევრობას და მოჰყავს კიდეც სოფლელების სიტყვები, რომ ისინი თავის გასამართლებლად სიღარიბეს ასახელებენო. ბოლოს ბ-ნი მიხაილიდი დასძენს: ყოველისავე ზემოხსენებულის დაბრკოლების ასაცილებლად საჭიროა, რომ ყველასათვის სავალდებულო იყოს სწავლაო. ამას „Нов. Обоз.“-ს რედაქცია შესაფერს შენიშვნას უძღვნის და ამიტომ ჩვენც აღარას ვიტყვით.

მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე უკანასკნელად ბევრს ჩვენს სკოლაშიაც შეინიშნება. პირველად თუ ასობით ჰგზავნიდნენ ბავშვებს სკოლაში, ეხლა ბევრგან 30 ბავშვსაც ვერა ჰნახავთ, მაგრამ ამის მიზეზად ჩვენ უფრო ის მიგვაჩნია, რომ ჩვენი სასწავლებლები საზოგადოდ ეროვნულს ხასიათს არის მოკლებული. უამისოდ შეუძლებელია დედა-ენის, სამშობლო გეოგრაფიისა, ისტორიის და ხალხის ზნე-ჩვეულებათა რიგიანად შესწავლა და მჭიდროდ შეკავშირება სკოლისა და ხალხისა. სკოლა ხალხის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს, ყურადღებით ისმენდეს ხალხის ხმას და აძლევდეს დროსა და ადგილის შესაფერს სწავლა-განათლებას მეურნეობის მხრივაც. სკოლის დანიშნულებაა, არ ამოჰკვეთოს, არამედ გააკეთილშობილოს ხალხის ზნეობითნი თვისებანი. სკოლის საქმე ისე მოაწყეთ, რომ გლეხი ჰხედავდეს იმისს სარგებლობას და ჰნახავთ, მოსწავლეთა რიცხვიც და სწავლის სურვილიც როგორ იმატებს; პირ-იქით, თუ გლეხი სარგებლობას სკოლისას ვერა ჰხედავს, გულსაც აიცრუებს სკოლაზედ, უგულოდ იძლევა ორიოდე გროშს მასწავლებლის ჯამაგირად, რადგან ფულის გადახდა მეტად ემძიმება გლეხ-კაცს, მეტადრე მაშინ, როდესაც ფულებს ისეთის დაწესებულებისათვის სთხოვენ, რომელსაც თითონ არ თანაუგრძნობს.

მჭიდრო კავშირია სკოლასა და ერს შორის დედა ბოძი ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს ისე ვერაფერი ვერ განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლა; ენა და ლიტერატურაა უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალს თაობას ძვირფასს განძსავით შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოები გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლით ყოველი მოსწავლე გულითა და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და ჭეშმარიტს სულიერს შვილობას გაუწევს. ამიტომ ყოველს ქვეყანაში სამშობლო ენის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს უმთავრესს საზრუნველს საგანს. ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ადგილი და მასწავლებლებიც სამშობლო ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის მხრივ დიდად დახელოვნებულნი არიან. ჩვენში-კი ორივე მხრით სამწუხარო და უნუგეშო სურათს ვხედავთ. ჩვენი სოფლის მასწავლებლები, უმეტესობა, ისეთი დაქვეითებულია, სამშობლო ენის ცოდნის მხრივ, რომ რომლისამე სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე გაცილებით აღემატება.

სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლა აუცილებელს საჭიროებას უნდა შეადგენდეს სოფლის მასწავლებლისათვის, რომელნიც ისე დაახლოებულნი არიან ხალხთან, როგორც სოფლის მღვდელია; სხვა თანამდებობის კაცს იშვიათად მოუხდება ხალხთან ყოფნა, სოფლის მასწავლებლები-კი ყოველთვის იქა ტრიალებენ, მხარში უდგანან გლეხს ჭირშიაცა და ლხინშიაც. თუ მასწავლებელი იმ ერის წარსულის და აწმყოს ცოდნით არის შეიარაღებული, რომლის შვილებსაც ასწავლის, თუ იმის ენისა და ლიტერატურის სიყვარული და პატივისცემა აქვს, ის უეჭველად დიდს ნუგეშს, შვებასა, ლხენასა და სიკეთეს მოჰფენს ხალხს, მაგრამ თუ მასწავლებელი სხვა გზით არის აღზრდილი, თუ მოკლებულია ერის საუნჯის ცოდნასა და სიყვარულს, თუ გულიდგან თავისი ერის პატივისცემა აღმოფხრილი აქვს, დამახინჯებული, მაშინ ვნებისა, ზარალისა და გარყვნილების მეტს ვერაფერს შესძენს ერს. რასაკვირველია, ამ გვარი მასწავლებელი ვერც სკოლას დააყენებს რიგიანს გზაზედ და ვერც ხალხში აღძრავს და მოჰფენს სწავლა-განათლების სურვილს. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა სოფლად, ვისაც-კი თვალ-ყური უდევნებია სოფლის სკოლების ცხოვრების მიმდინარეობისათვის, და დღესაც ბევრია.

ლ. ორპირელი

### რუსეთი

პირველში როგორღაც არა სჯეროდათ, რომ რუსეთს მართლა დიდი განსაცდელი—სიმშილი ეწვეოდა წლეულს, და ამის გამო, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულად შეუდგნენ მზადებას მის დასახვედრად. წინად რომ ერობანი ანგარიშობდნენ, ამდენი და ამდენი დახმარება დაგვჭირდება მთავრობისაგანაო, გუბერნატორები უარჰყოფდნენ მათ მიერ თქმულს: ეგ ანგარიში გაზვიადებულიაო. ხოლო ეხლა, როდესაც ყველაფერი დაწვრილებით გამოიკვლიეს და ჰნახეს, დარწმუნდნენ გუბერნატორებიცა და სხვანიც, რომ ტყუილი და გაზვიადებული არა ყოფილა-რა. ამას შემდეგ გამოცხადებულ იქმნა, მთავრობამ 32 მილიონი გადასდო მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად, გარდა იმ ფულისა, რომელიც საზოგადო სამუშაოთა დასაწყებად გარდაიდო. მაგრამ, რა კითხვა უნდა, მთავრობა მარტო ამ წვლილს არ დასჯერდება და სხვაფრივაც უშველის და დაეხმარება გაჭირვებულს გლეხკაცობას რუსეთისას. პეტერბურგის გაზეთებმა უკვე გაავრცელეს ხმა, მთავრობა კიდევ 30 მილიონის გაღებას აპირებს ხსენებულის საგნისათვისაო.

ამ გვარად შემდგარი 60 მილიონი, კითხვა არ უნდა, დიდი ფულია. მაგრამ იმას-კი ვერავინ იტყვის, რომ იგი საკმარისი იყოს დამშეულ გუბერნიების გლეხ-კაცობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. როგორც უტყუარ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, მთავრობას ხალხისთვის მხოლოდ იმის მეოთხედი ან მესამედი ძლივს მიუცია, რასაცა თხოულობდნენ, ასე რომ ხსენებული ფული სათესლეს სასყიდლად თუ კმარა, თორემ სხვაფრივ ვერაფერს შემწეობას ვერ მისცემს. ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ხსენებული ფული სესხად ეძლევა მამულის ან „ნადელის“ პატრონს, და ბევრი-კი ძლიერ ბევრი ისეთია, რომელსაც არც „ნადელი“ აქვს, არც თავისი საკუთარი ქონება და ამიტომ სესხს ვერ მიიღებს, ე. ი. ხსენებულის ფულიდგან სარგებლობა და შემწეობა არა ექნება-რა.

რა უნდა ქნას ამ უშემწეო ხალხმა, საიდგან რას უნდა მოელოდდეს, რითი დაირჩინოს თავი? ერთად ერთი სახსარი მათის სიმშილისაგან დახსნისა კერძო შეწირულება-ღაა, რადგანაც უძრავ ქონების უქონლობისა გამო სესხს ვერსაიდგან, მთავრობისაგანაც-კი, ვერ მიიღებენ. იმათ ისეთი სესხი და დახმარება ეჭირვებათ, რომელიც შემდეგში აღარ უნდა მოეთხოვოთ. ამის გამოც ამ ჟამად მთელს რუსეთის იმპერიაში ხელის მოწერაა გამართული სასარგებლოდ დამშეულთა და უმწეოთა და ამ უმწეოებად უმეტეს ნაწილად იგულისხმებიან უადგილ-მამულო, ბოგანო მცხოვრებნი რუსეთისა.

მთავრობას დიდი საზრუნავი საქმე გაუჩნდა, დიდად უნდა ეცადოს, რომ ეს ხალხი მერმისის მოსავალ-მოუსვლობამდე როგორმე გამოჰკვებოს და სიმშილსა გამო სიკვდილს გადაარჩინოს.

### უცხოეთი

**საფრანგეთი.** „Jonrnal officiel“-ში დაბეჭდილთა ანგარიში საფრანგეთის მცხოვრებთა რაოდენობისა 1890 წელს. ფრიად გულსაკლავი ცნობებია ეს ცნობები: გარდაცვალებულთა რიცხვი ერთის წლის განმავლობაში მეტია დაბადებულთა რიცხვზე. იმ ცნობებიდგანვე სჩანს, რომ საფრანგეთში ქორწინება შემცირებულა და განქორწინება გამრავლებულა. როგორც 1870—71 წ. საფრანგეთის ომის შემდეგ და 1854—1855 წ. ყირიმის ომსა და ხოლერას შემდეგ, ისე წარსულს 1890 წელსაც გარდაცვალებულთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვს 38500-ით აღემატა—მოკვდა 876,500 სული, ხოლო დაიბადა მხოლოდ 838,009 სული. ასეთი ამბავი მთელის აწინდელის საუკუნის განმავლობაში არას დროს არ მომხდარა, გარდა ზემო აღნაშნულის.

დებათა ბეჭდვამ მოიპოვა ჩვენს დროს. წინად მარტო ვაჭრები და მრეწველნი ჰხმარობდნენ ამ საშუალებას, დღეს-კი მეც და შენც, მკითხველო, ვსარგებლობთ გაზეთის შუამდგომლობით, რათა შევატყობინოთ საზოგადოებას, რომ, ვსთქვათ, თქვენ ან სახლს აქირავებთ, ან ოთახებს ეძებთ ქირით, მე-კი, ვსთქვათ, ფრანგულისა და გერმანიულის ენის გაკვეთილებს ვეძებ. ეს ძალა და ღონე უნდა მივაწეროთ აუარებელს რიცხვს გაზეთებისას და მკითხველებისას. მართლაც, აბა წარმოიდგინეთ, რამდენი მილიონი ცალი სხვა-და-სხვა გაზეთისა ისტამბება და იგზავნება ყოველ დღე და ღამ სატახტო ქალაქების სტამბებიდგან, რამდენი ათასი ცალი იბეჭდება პროვინციის დიდ და პატარა ქალაქის სტამბებში და იგზავნება დედამიწის ზურგის ყოველს კუთხეს? მაშინ, დარწმუნებული ვარ, აღარ გაგიკვირდებათ ჟურნალ-გაზეთობის ძალა და მნიშვნელობა.

მაშ, რა-კი ამ ნაირი ძალა მოუპოვებია პერიოდიულს გამოცემას, ურიგო არ იქნება გადავათვალიეროთ და განვიხილოთ სხვა-და-სხვა ერი და სახელმწიფო, ვნახოთ, სად უფრო განვითარებულია ეს საქმე, რომელი ერი უფრო წინა სდგას ამ ხრივ, სხვა-და-სხვა ალაგას თითო გაზეთი რამდენს სულსა ჰკვებავს და სხვ.

დავიწყოთ ჩვენის სამშობლოიდგან. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ აქაც, ამ საგანშიაც, ყველაზე მეტად დაქვეითებულნი ვართ. ეჭვიარ არის, რომ ქართველთა საზოგადო რიცხვი იქნება არა ნაკლებ 2 მილიონისა. ამ ჟამად ქართულს ენაზე იბეჭდება სულ 5 ჟურნალ-გაზეთი. მაშასადამე, თითო ფურცელს შეჰხვდება 400,000 ადამიანი. შეადარეთ ეს რიცხვი იმ ციფირებთან, რომელსაც ჩვენ ქვემოდ მოვიყვანთ, და მაშინ უფრო ცხადად დაინახავთ, რამდენად საჭიროა ჩვენში განათლება, წერა-კითხვის გავრცელება.

ამიერ კავკასიის მკვიდრთა რიცხვი დაახლოვებით ექვსი მილიონია. ჟურნალ-გაზეთების რიცხვი 31. მათ შორის რუსულია—18, ქართული—5, სომხური—6, ფრანგული—1, თათრული—1. მაშასადამე, თითოეული გაზეთი ჰკვებავს თითქმის 200,000 სულს. აქედგან სჩანს, რომ ამ მხრივ ამიერ-კავკასიას, ეროვნების მიუხედავად, განათლებულ ერთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ევროპის რუსეთში თითო გაზეთი და ჟურნალი ჰკვებავს 109,000 სულს, ხოლო საზღვარ გარედ-კი სულ სხვასა ვხედავთ.

პატარა შვეიცარიაში ამ ჟამად 776 ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება. მათ შორის ზოგიერთი 10 და 20 ათას ცალად გამოდის ყოველ-დღე. ყველაზე მეტად ჟურნალ-გაზეთები ციურიხის კანტონტი იბეჭდება. იქ ჟურნალ-გაზეთების რიცხვი 123-ია, თუმც-კი ეს კანტონი სივრცითა და მკვიდრთა რიცხვით სხვა კანტონებს ჩამორჩება. მკვიდრთა რიცხვის მიხედვით უფრო ბევრი ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება ორს ალაგას: ბაზელისა და ჟენევის კანტონში. საზოგადოდ-კი მთელს შვეიცარიაში თითო გამოცემა ჰკვებავს დაახლოებით 3,200 სულს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში თითო გაზეთი, ანუ ჟურნალი იბეჭდება 4,300 სულისათვის, ბელგიაში—6,600 სულისათვის, საფრანგეთში—8,600-თვის, გერმანიაში — 9500-ს ინგლისში— 13,400-ს.

ჟურნალ-გაზეთობა გვაძლევს ჩვენ თავისებურს ყოველ-დღიურს საზრდოს ჭკუა-გონებისასა და, როგორც ზემოდ აღნიშნულ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ამ ნაირ საზრდოს განაწილებით შვეიცარიას პირველი საპატიო ადგილი უჭირავს. მართალია, ამ პატარა და თავისუფალს ქვეყანაშიაც მოიპოება იმისთანა გაზეთები, რომელნიც არამც თუ ვერ ასაზრდოვებენ ჭკუა-გონებას, პირიქით ჰრყვნიან მკითხველს და ცუდად ჰმოქმედებენ იმისს ზნეობაზე, მარამ ამისთანა მიმართულების ჟურნალი, ან გაზეთი ძლიერ იშვიათია შვეიცარიაში და ამ მხრივ იგი სხვა ქვეყნებზე უფრო მაღლა სდგას. რაც შეეხება სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებს, ვერც ერთი სახელ-მწიფო ვერ შეედრება შვეიცარიას: ამ მხრივ მას, დიდი ხანია, სახელი და პატივი აქვს მოპოვებული. უკაცრავად, მკითხველო, რომ ამდენს ხანს შევჩერდი ამ პაწია ქვეყანაზე. ექვსი წელიწადი გამიტარებია იქ და, რასაკვირველია, უცხო ქვეყანათა შორის იგი უკეთ მაქვს შესწავლილი. მაინც დიდს ხანს აღარ ვასარგებლებ შენის მოთმინებით და მხოლოდ ერთს გარემოებასაც მოვიხსენიებ იმის შესახებ. ყველამ იცის, რომ შვეიცარიაში სამი ენაა მიჩნეული სახელმწიფო ენად და გავრცელებულიც: გერმანული, ფრანგული და იტალიური. მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების განაწილება ამ სამ ენის შორის თანაბარი არ არის. ისე, ასს სულში 72 წარმოადგენს გერმანულს ნაწილს, 22 ფრანგულს და მხოლოდ 6 იტალიურს, როდესაც ყოველს ასს პერიოდიულს გამოცემაში გერმანულს ენაზედ იბეჭდება 68, ფრანგულზე 28 და იტალიურზე სულ 2 ცალი. ამ ცნობებიდგან შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებსა და ქალაქებში, სადაც აღებ-მიცემა გაძლიერებულია, სადაც ბევრი საქმე კეთდება და ცხოვრება მდევის ნაბიჯით მიმდინარეობს, ყოველ დღიურ გაზეთის კითხვის სურვილიც მეტია. ამ ნაირს ქვეყნებში გაზეთის კითხვა იმ ნაირს საჭიროებას წარმოადგენს, როგორც ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის ჰმა-სმა.

—

განცხადებების ბეჭდვა ყველაზედ მეტად გავრცელებულია გერმანიაში, ინგლისში და განსაკუთრებით ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში. ამ უკანესკნელს სახელმწიფოში აუარებელი კანტორა და სააგენტოა, რომელიც მხოლოდ განცხადებათა ბეჭდვის საქმეს მისდევს. ერთს განყოფილებაში თითონ აგენტებივე სწერენ განცხადებებს, მეორეში ანგარიშობენ, მესამეში სთარგმნიან და საზღვარ გარედა ჰგზავნიან სხვა-და-სხვა გაზეთებში დასაბეჭდად.

საზღვარ-გარეთის თითქმის ყოველს დიდს ქალაქში არსებობს იმისთანა საააგენტო და კანტორა, რომელთაც იჯარითა აქვთ აღებული რამდენიმე გაზეთი მარტო განცხადებათა ბეჭდვისათვის. ამ ნაირ დაწესებულებათა შორის „agence de publicité Haasenstnie et Yogler“ უფრო ცნობილი და სახელ-განთქმული. ამ საააგენტოს მილიონობით აქვს შესავალ-გასავალი.

ვანო ემ—ი

ორის წლისა. 1889 წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხვმა 42,500-ით იკლო, ხოლო გარდაცვალებულთა რიცხვმა-კი იმატა და 815,000-დე ავიდა. შეიძლება ეს გარემოება იმითი აიხსნას, რომ ამ დროს ინფლუენცია მძვინვარებდა მთელს საფრანგეთში, მაგრამ იმავე დროს ქორწინებათა რიცხვმაც იკლო 3,602-თი და განქორწინებათა რიცხვმა-კი იმატა 670-თი (ქორწინება სულ 5,457 მოხდა). საზოგადოდ, როგორც 1884 წელსვე შეამჩნიეს, ქორწინებათა რიცხვი ყოველ წლივ კლებულობს თითო პროცენტით (1884 წელს ქორწინებათა რიცხვი—289,500 იყო, ხოლო 1891 წელს-კი — 269,300). ამავე დროს განქორწინებათა რიცხვი იმავ გზით მატულობს. ამ საგნის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც 1885 წელს განქორწინება დაკანონდა, იმ წელს 4,277 განქორწინება მოხდა, მაგრამ მაშინ ამ სიმრავლე განქორწინებათა რიცხვისას სხვა-და-სხვა შემთხვევითის მიზეზითა ხსნიდნენ. მართლაც, 1886 წელს მხოლოდ 2,950 განქორწინება-ღა მოხდა. მაგრამ მას შემდეგ ყოველწლივ იმატა ზ იმატა და 1890 წ. 5,457-მდე ავიდა. რაიცა შეეხება დაბადებულთ რიცხვს, ეს რიცხვი 1890 წელს სწორედ იმდენივე-ღა იყო, რამდენიც 1871 წელს. ხოლო თვით 1871 წელს-კი დაბადებულთა რიცხვი ყველა წლისაზე ნაკლები იყო მთელის 50 წლის განმავლობაში. დაბადებულთა რიცხვმა 1876 წლიდგან იწყო კლება. იმ წელს დაბადებულთა რიცხვი 956,682 იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველაზე ნაკლები ქორწინება ხდება და ყველაზე ნაკლები იბადება უფრო დასავლეთ-საფრანგეთის ხუთს დეპარტამენტში. ამასთანავე, თუ საფრანგეთში მცხოვრებთა რიცხმა არ იკლო, ეს გარემოება მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ ყოველ წლივ სხვა-და-სხვა სახელმწიფოდგან მრავალი ხალხი მიდის და საფრანგეთში ესახლება. წარსულს 1990 წელზე ნაკლებად მთელის საუკუნის განმავლობაში არ მოჰმატებია ხალხი საფრანგეთს. ხსენებულ სასტატისტიკო ცნობათა შესახებ საფრანგეთის ეკონომისტი მიშელი შემდეგსა სწერს „Journal des Débats“-ში: „დიდი ხანია შემჩნეულია“ რომ საფრანგეთს ყოველ წლივ ხალხი აკლდება. როგორც შეკრებილის ცნობებიდგან სჩანს, მახლობელ სახელმწიფოების მცხოვრებთა რიცხვი, განსაკუთრებით გერმანიისა, 65 წლის განმავლობაში ერთი-ორდება, ხოლო საფრანგეთისა-კი მხოლოდ 280 წლის განმავლობაში. ეს ნაანგარიშევია 1880—1885 წწ. მიხედვით, როცა ჯერ კიდევ დაბადებულთა რიცხვი სჭარბობდა გარდაცვალებულთა რიცხვს. მას შემდეგ გარემოება ძლიერ უკუღმართად იცვალა და ამ ჟამად ის-კი აღარ უნდა ვიწვლილოთ, 2-3 საუკუნის განმავლობაში გაერთი-ორდება თუ არა საფრანგეთის მცხოვრებელთა რიცხვი, არამედ ის უნდა ვივარაუდოთ, შემცირდება თუ არა რიცხვით საფრანგეთის ერი და შეიძლებს-ღა კიდევ, რომ კვლავაც იგივე საპატიო ადგილი ეჭიროს ევროპის სახელმწიფოთა შორის?“

## დეპეშა

2 ნოემბერი

**ყაზანი.** გუბერნიის ინსპექტორი მკურნალი მანდელშტამი დაბრუნდა მოგზაურობიდგან და აუწყა „Казан. Л.“-ს, რომ 150 ჩემ მიერ გასინჯული სახადით ავადმყოფი მუცლის სახადით არის ავადაო და მათს მოსარჩენად საკვებია საჭიროვო. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს იმ ადგილებში ფქვილი.

**ბერლინი.** შარლოტენბურგის მებანკემ მაასმა გუშინ პოლიციას გამოუცხადა, 400,000 მარკა გავფლანგე მიბარებული ფულიო. ამ ფულში ურევია 100,000 მარკა ობოლთა ფული და 20,000 მარკა საეკკლესიო ფული. ამ ამბავს მებანკეს ფლანგაობითა ხსნიან. პასსივი, როგორც ამბობენ, 600,000 მარკამდეა.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბ

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8 | 8, 01 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160½ | 161 | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 229 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 211 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . | — ,, | — ,, | 210½ |
| ,, ირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობაში** ხელის-მოწერაა გამართული ნება-ყოფლობითის შესაწირავისა რუსეთის შიდა გუბერნიების დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ. შესაწირავის მოტანა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე (3—2)

---

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში

**ქეხნი**

საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ლექსად შ. მღვიმელისა, გამოცემული გრ. ტატიშვილის მიერ. სურათები და ასომთავრული ასოები ამოჭრილია გამომცემლისაგანვე. (3—3)

---

ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ მისს სადგომში 5 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საჯარო ვაჭრობა მოხდება იჯარით გასაცემად მოწის ნაჭრისა ავლაბარში 476 დესიატ. გაჯის ამოსაღებად. (3—3)

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. ო. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

---

# სინამდვილით სთარგმნის

და შესაფერს ისტორიულს განმარტებას ურთავს თავად-აზნაურობის ღირსების სამიებელს **სიგელ-გუჯარ-გარათებს** მასწავლებელი **პოლიევკტ ყიფარიძე**

ადრესი: ქუთაისი, ფერმის ქუჩა, ვაწაძის სახლი. (4—126—3)

---

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

# დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—36)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

გამოვიდა და ისყიდება

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

# ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მიქელში—ილია ჰიჰინაძე, ბეკათუბანში—ანდრ. შაფათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი. (0—10)